

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი"), ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144, საიდენტიფიკაციო კოდი 202178927, სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნოე ქინკლადის სახით და „ნოვო ნორდისკ ა/ს“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), დანია, ნოვოალე, 2880 ბაგსვარდ, CVR N24256790, საბანკოდეტალები: „სიტიბანკი“, ნიუ იორკი, SWIFT: CITIUS33, ABA კოდი 021000089, ანგარიშის ნომერი 30733459, წარმოდგენილი BACIS ინტერნეშენალ ოპერეიშენის ვიცე პრეზიდენტის ბნ. სერგეი სმირნოვის სახით, და BACIS ფინანსური და საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორის ბატონი კრისტოფერ ჰვიდის სახით, რომელსაც კომპანიის რწმუნებულება აქვს მინიჭებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გათვალისწინებით, მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების (შემდგომში ტექსტში - საქონელი) (CPV კოდი - 33600000 / SPA130021868) მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვა:

2.1.1. ადამიანის ინსულინი, გახანგრძლივებული მოქმედების (ინსულატარდი®), ფლაკონი 10 მლ. 100 სე/მლ 222 000 (ორასოცდაორი ათასი) ფლაკონი;

2.1.2. ადამიანის ინსულინი, ხანმოკლე მოქმედების (აქტრაპიდი®), ფლაკონი 10 მლ, 100 სე/მლ 215 000 (ორას თხუთმეტი ათასი) ფლაკონი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 1 861 620 (ერთი მილიონ რვაას სამოცდაერთი ათასექვსასოცი) ლარს.

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს:

3.2.1. ინსულინი ინსულატარდი® ფლაკონი 10 მლ, 100 სე/მლ 4,26 (ოთხი ლარი და 26 თეთრი) ლარი;

3.2.2. ინსულინი აქტრაპიდი® ფლაკონი 10 მლ, 100 სე/მლ 4,26 (ოთხი ლარი და 26 თეთრი) ლარი.

3.3. მითითებული ფასი მოიცავს ყველა დანახარჯს საქონლის თბილისამდე CIP (Incoterms-2000) პირობით მიწოდების (პორტალი თბილისის აეროპორტი-აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია), შეფუთვის, მარკირების, დაზღვევასა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

1. Parties of the Agreement

1.1 LEPL Social Service Agency (hereinafter referred to as „Purchaser“), No 144, Tsereteli Ave. Tbilisi, identification code 202178927, in person of Acting Director of the Agency Noe Kinkladze and „NOVO NORDISK A/S“, (hereinafter referred to as „Supplier“), Denmark, Novo Alle, 2880 Bagsvaerd, CVR No 24256790, Bank details: Citibank, New York SWIFT: CITIUS33, ABA code 021000089, Acc. number 30733459 In persons of the Vice-President of BACIS, Mr. Sergey Smirnov and Financial and IT Director of BACIS Mr. Christopher Hviid who is awarded with company's authorization.

2. Subject of the Agreement

2.1 Multi-year state purchase of medical means (hereinafter referred to as „Goods“) according to the component of providing children and adult patients with Diabetes with specific medicines within the framework of healthcare program, considering the budgetary appropriation of state budget of Georgia (CPV code- 33600000 / SPA130021868)

2.1.1 Insulin human, long-acting (Insulatard®), vial 10ml. 100 IU/ml – 222 000 (two hundred twenty two thousand) vials.

2.1.2 Insulin human, short-acting (Actrapid®), vial 10ml. 100 IU/ml – 215 000 (two hundred fifteen thousand) vials.

3. Total value of the Agreement

3.1. Total value of the Agreement is 1 861 620 GEL (One million eight hundred sixty-one thousand six hundred and twenty).

3.2. Price per unit of the Goods:

3.2.1. Insulin Insulatard®, vial 10ml. 100 IU/ml; 4,26 (four GEL and twenty six Tetris) GEL;

3.2.2. Insulin Actrapid®, vial 10ml. 100 IU/ml; 4,26 (four GEL and twenty six Tetris) GEL;

3.3. All prices are understood as CIP (Incoterms-2000) Tbilisi, (Portal Tbilisi Airport adjacent territory) including all expenses i.e. prices include the cost of packing, marking, insurance and other

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განხორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, საქონლის მიღებისას საქონლის განთავსების ადგილას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მოსაწოდებელი საქონლის წარმოების, შეფუთვის, ვარგისიანობის ვადების, ჰიგიენური ნორმების და მოწოდებისათვის აუცილებელი სხვა პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს.

5. შეფუთვა

5.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის სრული უსაფრთხოება, ტრანსპორტირებისას შესაძლო დაზიანებისა და გაფუჭებისგან.

5.3. თითოეული ყუთი უნდა იყოს დანომრილი და მათზე მკაფიოდ უნდა იყოს დატანილი შემდეგი ინფორმაციები: მიმწოდებლის დასახელება და მისამართი, მიმღების დასახელება და მისამართი, ტვირთის რაოდენობა, პროდუქციის დასახელება, ინფორმაცია გადატვირთვისას ტვირთის გაფუჭების ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად გასათვალისწინებელი პირობების შესახებ.

6. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

6.2. საქონლის მიწოდების დღედ ჩაითვლება 3.3 პუნქტში დაფიქსირებულ მისამართზე საქონლის მიტანის თარიღი (შემდგომში - „მიწოდების დღე“), რის შემდეგაც შემსყიდველზე გადადის პასუხისმგებლობა საქონლის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე.

6.3. შემსყიდველი თვითონ უზრუნველყოფს მოწოდებული საქონლის განაწილებისათვის საჭირო პროცედურებს.

6.4. ადამიანის გახანგრძლივებული მოქმედების ინსულინის (ინსულატარდი®) 2014 წელს მოსაწოდებელი რაოდენობა - 135 000 ფლაკონიდან, არაუგვიანეს 2014 წლის 15 იანვრისა მოწოდებული

related expenses.

4. Control over fulfillment of the Agreement

4.1. Control over fulfillment of the Agreement will be undertaken by inspection group created by the Purchaser. Control will be implemented periodically, during Receipt of Goods at Goods storage area, which means fulfillment of terms of the Agreement, including control of production of the Goods that are to be supplied, their package, expiry dates, hygiene norms and observation of other conditions and regulations necessary for supply of Goods.

5. Package

5.1. Goods to be supplied should be packed in accordance with appropriate standards.

5.2. Supplier is responsible towards Purchaser in case of any kind of damage of the Goods. The Supplier shall secure full safety of the Goods from any kind of damage during its transportation.

5.3 Each box must be numbered and should clearly reflect the following information: Name and address of the Supplier, name and address of the recipient, number of units, name of the product and information regarding conditions for avoiding damage or spoiling of goods during reloading.

6. Terms of supply and delivery/receipt of goods

6.1. Goods will be supplied as per Purchaser's request, according to the terms stipulated in the present Agreement.

6.2 The date of delivery shall be the date of delivery of goods to the place of delivery specified in paragraph 3.3 (hereinafter referred to as „Place of Delivery“, after which responsibility on loss or damage of Goods will be transferred to the Purchaser.

6.3. The Purchaser solely provides all procedures needed for customs clearance of the supplied Goods.

6.4. Delivery of 50 000 vials of human long-term insulin Insulatard® from 135 00 vials to be supplied in 2014 shall be performed until January 15, 2014;

Delivery of 75 000 vials of human short-term insulin Actrapid® from 149 00 vials to be supplied

უნდა იქნეს - 50 000 ფლაკონი, ხოლო ადამიანის ხანმოკლე მოქმედების ინსულინის (აქტრაპიდი®) 2014 წელს მოსაწოდებელი რაოდენობა - 149 000 ფლაკონიდან, არაუგვიანეს 2014 წლის 15 იანვრისა მოწოდებული უნდა იქნეს - 75 000 ფლაკონი.

6.5. საქონლის დარჩენილი რაოდენობის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 8 (რვა) კვირის განმავლობაში.

6.6. შემსყიდველის მიერ საქონლის მიღება წარმოებს ეტაპობრივად, ამ მუხლის 6.4. და 6.5. პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით (შემდგომში „მიღების დღე“). საქონლის მიღების ყოველი ეტაპის დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განხორციელდება მოწოდებული საქონლის შემოწმება, რომელსაც 6.2. პუნქტში დაფიქსირებული მიწოდების თარიღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში განახორციელებს შემსყიდველის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი (წარმომადგენლები), ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი. საქონლის მოწოდებისას, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

6.6.1. დეტალური ინვოისი (რომელშიც მოწოდებული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობა და შესაბამისი ერთეული გამოსახული იქნება აშშ დოლარში).

6.6.2. შეფუთვაში შემავალი საქონლის ჩამონათვალი;

6.6.3. ანალიზის სერთიფიკატი;

6.6.4. წარმოშობის სერთიფიკატი;

6.6.5. ავია ზედღებულები.

6.7. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამკურნალო საშუალების მოწოდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის მკაცრი დაცვით, „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების გათვალისწინებით.

6.8. თუ შემსყიდველი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს ამ მუხლის 6.6. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ის ვალდებულია ამავე ვადაში მიაწოდოს მიმწოდებელს დასაბუთებული უარი საქონლის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ შემსყიდველმა მიიღო საქონელი იმ რაოდენობით, ხარისხით და ასორტიმენტით რომელიც მას მიაწოდეს.

in 2014 shall be performed until January 15, 2014;

6.5 Delivery of remaining amount of Goods shall be carried out on step-by-step basis within 8 (eight) weeks after receipt of Purchaser's written request by the Supplier.

6.6 Acceptance of the Goods is implemented by the Purchaser on step-by-step basis according to the conditions considered by 6.4 and 6.5 paragraphs of the present article and by signing of Delivery and Acceptance Certificate (hereinafter referred to as „Day of Receipt“). Delivery and Acceptance Certificate is signed after completion of each stage of delivery of Goods. Supplied Goods will be inspected before signing of Delivery and Acceptance Certificate. Inspection will be implemented within 5 (five) calendar days from the Date of Delivery indicated in 6.2 paragraph by an inspection group created specially for this purpose by the Purchaser according to paragraph 4.1 of the present Agreement. Delivery and Acceptance Certificate is signed by authorized representatives of the Purchaser and the Supplier. Upon delivery of goods the Supplier should submit following documents to the Purchaser:

6.6.1. Detailed invoice (reflecting amount of goods considered by the Agreement and relevant units in USD);

6.6.2. Packing list;

6.6.3. Certificate of analysis;

6.6.4. Certificate of origin;

6.6.5. Bill of lading (AWB);

6.7. Supplier should strictly follow established temperature conditions while shipment of goods, considering principles of “cold chain”;

6.8. If the Purchaser refuses to sign the Delivery and Acceptance Certificate within the time considered by paragraph 6.6 of this article, he is obliged to submit substantiated refusal of acceptance of Goods to the Supplier within the same term, , otherwise it will be considered that the Purchaser has accepted provided amount, quality and assortment of Goods.

7. საქონლის ვარგისიანობის ვადა

7.1. მოსაწოდებელი საქონლის ვარგისიანობის ვადის გასვლემდე მოწოდების მომენტისთვის 60% ნაკლები არ უნდა იყოს დარჩენილი.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებული საქონლის წუნდების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 45 დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარში, საქონლის მიწოდების დღიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში, როგორც ეს ხელშეკრულების 3.2 პუნქტშია განსაზღვრული.

9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა (ცვლილება)

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ერთეულის ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

9.2.1. წინადადების მიღების დასრულების დღისთვის 25.10.2013. აშშ დოლართან მიმართებაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეროვნული ვალუტის (ლარი) კურსის (1 აშშ დოლარი = 1.6682 ლარი) არანაკლებ 5% ცვლილების შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში;

9.2.2. საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შემამცირებს ფასებს 5%-ით ან მეტით;

9.2.3. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას, ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილი

7. Shelf-life of the goods

7.1. No less than 60% of shelf-life must be remaining by the time of the supply of the Goods.

7.2. Supplier is obliged to replace defective Goods no later than 45 days after receipt of written notice about such defect from the Purchaser without charging purchaser with any additional expenses.

8. Terms of payment

8.1. Payment will be made by bank transfer.

8.2. Payment will be made in USD during 20 calendar days after Date of Delivery as it is determined by paragraph 3.2. of the Agreement.

9. Review (amendment) of conditions and prices

9.1. No deviation from or any amendments to the conditions of the Agreement are permitted except for written changes that are signed by both parties. If it becomes necessary to change conditions of the Agreement due to any unforeseen reasons, initiator of the change shall inform the other party in a writer form regarding this issue.

9.2. Change in prices per unit given in this Agreement is possible only in following cases:

9.2.1. Increase or decrease of currency rate (1USD= 1.6682 GEL) by no less than 5% against national currency (GEL) at the end of proposal receipt day 25.10.2013.

9.2.2. Changes in tax system, directly affecting fulfillment of provisions of this Agreement, resulting in an increase or decrease prices by 5% or more.

9.2.3. If the conditions that agreement was based on will totally change after concluding of the agreement, so that the parties wouldn't have signed this agreement or would sign it with other content where the changes would be considered, in such cases it can be requested to adjust agreement with new reality.

9.3. Change of unit price in such a way which increases total cost of this Agreement by more than 10% is inadmissible.

9.4. Party initiating the change shall notify in writing the other Party about it in advance. Changes

იქნას ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

9.3. დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.

9.4. ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით. ფასების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ამასთან ნებისმიერ დროს შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ფასების ცვლილებაზე, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად ან/და შეუსრულებლობად და არ გამოიწვევს მეორე მხარის მიმართ რაიმე სახის საჯარიმო სანქციის ან სხვაგვარი პასუხისმგებლობის გამოყენებას.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, წანამდებარე ხელშეკრულების 7.2 და მე-12 პუნქტებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე.

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.5. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების დაცვა, წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართში მითითებული პირობების შესაბამისად.

10.6. მიმწოდებელს საქონლის გადაზიდვა ევალება მაშინ, როცა შემსყიდველს მის მიმართ არანაირი დავალიანება არ გააჩნია. დავალიანების არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს იმ პერიოდით გააჭიანუროს მოწოდება, რა პერიოდითაც შემსყიდველმა თანხის მიწოდება დაუგვიანა. მსგავსი შემთხვევა არ ჩაითვლება ვალდებულებების დარღვევად.

in prices will be mutually agreed in writing. In addition any party is allowed to terminate this Agreement if Parties don't achieve agreement on price changes, which won't be considered as abrogation and/or non-fulfillment of provisions of this Agreement and won't result in imposing any sanctions or other responsibilities on other Party.

10. Responsibilities of Parties

10.1 The Purchaser has right to terminate this agreement if quality of Goods and/or terms of supply of Goods deteriorate considering the conditions of the paragraph 7.2 and 12 of the Agreement.

10.2. The Purchaser is obliged to make payment for the Goods in time on supplier's bank account.

10.3. The Supplier has right to demand from the Purchaser timely payment for delivered goods on its bank account.

10.4. The Supplier is responsible to deliver Goods to the Purchaser with appropriate quality determined by the present Agreement in accordance with conditions foreseen.

10.5. The Purchaser is obliged to comply with and will be responsible for compliance with requirements set forth in Appendix 1 to this Agreement to transportation and storage of Goods supplied by the Supplier.

10.6. The Supplier is obliged to ship the Goods provided the Purchaser has no indebtedness towards the Supplier. In case of delay of payment the Supplier is entitled to suspend the supply of Goods for the period that is equal to such delay. Such event shall not be considered as breach of obligations.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით. გარანტია გაცემული იქნება Danske Bank-ის (Holmens Kanal 2-12, DK 1092, კოპენჰაგენი) მიერ, რომლის მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 იანვრამდე.

11.2. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა, რასაც მოყვება 10.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომა და ამის შესახებ გარანტიის გამცემი ბანკის ინფორმირება, წარმოადგენს საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის შემსყიდველის ანგარიშზე გადარიცხვისათვის.

11.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების, ასევე მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს მას გარანტია.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1. საქონლის მოწოდებისათვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

12.2. ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. Guarantee for fulfillment of the agreement

11.1. The Supplier is obliged to submit the Bank Guaranty for 2% of total value of the Agreement in order to secure fulfillment of the Agreement by the Supplier.

The Guaranty will be issued by Danske Bank (Holmens Kanal 2-12, DK 1092, Copenhagen) which is valid till 31 January, 2016.

11.2 The violation of the contract conditions by the Supplier which will be followed by the incident considered in 10.1 and provision the bank with information about the occasion enables the grant provider bank to transfer money determined by the bank guarantee to the account of the Purchaser.

11.3. In case of full and proper accomplishment of duties stipulated in the agreement, also in case of receipt of written request from the Supplier, the Purchaser is obliged to return guarantee to the Supplier if termination of present agreement is caused by reasons not associated with the Supplier.

12. Responsibilities of the Parties for non-fulfillment of Agreement terms

12.1. In the event of violation of terms considered for delivery of Goods, Supplier has to pay penalty at the rate of 0,1% of the amount payable for each due date.

12.2. In the event of abrogation of payment terms stipulated in sub-paragraph 8.2. paragraph 8 of this Agreement, Supplier is authorized to impose a penalty on Purchaser at the rate of 0,1% of the amount payable for each due date. Such right may be enjoyed by Supplier only at its sole discretion and represents no liability.

12.3. Penalty payment does not release Supplier from fulfillment of basic responsibilities.

12.4. In case if total penalty amount imposed on the Parties for payment delay surpasses 2% of total value of unrealizable engagement, the Parties also have a right to terminate present Agreement.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

13.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

13.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

13.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

13.2.3. ეპიდემიები;

13.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

13.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

13.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

13.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

13.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

13. Force-majeure

13.1. Based on the Agreement none of the Parties is responsible against another and is released from responsibility to meet obligations fully or improperly (partially) if this was caused by occurrence of special insuperable force which represents no responsibility of the Parties and they could not know about it by the moment of concluding this Agreement.

13.2. Insuperable force may include (but not limited to):

13.2.1 Natural disasters (fire, flood, earthquake, storm and others);

13.2.2 Announced or unannounced war, civil unrest, any kind of military activities, emergency situation;

13.2.3 Epidemics;

13.2.4 Blockade or any economical embargo;

13.2.5 Decision of any governmental unit, or any authority recognized to be competent and release of standard act, which influences fulfillment of obligations envisaged by this Agreement and changes, terminates or cancels agreement provisions and terms.

13.3. Force-majeure has to be confirmed by competent authorities.

13.4. The party must immediately notify another Party about force-majeure circumstances by any available means of communication (phone, fax, email, courier or postal service and etc.).

13.5. Existence of force-majeure does not automatically terminate this Agreement. The Parties have to determine issues of force-majeure in relation to present Agreement.

13.6. Upon termination of force-majeure circumstances the Parties immediately continue fulfillment of obligations undertaken by this Agreement.

13.7. In case of force-majeure time of non-fulfillment of obligations will last until termination of such circumstances, if not agreed otherwise between the Parties.

13.8. The Party is not released from obligations if force-majeure was caused by its fault or if obligations could have been fulfilled in reasonable terms before such circumstances.

13.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.2. ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 20 კალენდარული დღით ადრე.

14.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. თუ მხარეები ამგვარი მოლაპარაკების შედეგად ვერ მიაღწევენ პრობლემის მოგვარებას, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საარბიტრაჟო სასამართლოს, ქვემოთ მითითებული პირობების დაცვით.

15.2. ყველა სადავო საკითხი, რომელიც ვერ მოგვარდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე უნდა დარეგულირდეს სტოკჰოლმის სავაჭრო არბიტრაჟის, ერთი ან მეტი არბიტრის მეშვეობით, არსებული წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

15.3. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები რეგულირდება შვეიცარიული კანონმდებლობით.

15.4. არბიტრაჟის ადგილად განისაზღვრება ქ. სტოკჰოლმი, შვედეთი. სადაც საქმის მოსმენა იმართება ინგლისურ ენაზე. მხარეები თანხმდებიან, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა ორივე მხარისთვის.

15.5. მხარე რომელიც გადაწყვეტს საქმე გადააგზავნოს არბიტრაჟში ვალდებულია ოფიციალური წერილით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს, სადაც მითითებული იქნება თარიღი, შეთანხმების ნომერი და დავის საგანი.

15.6. მხარეები დავის გადაწყვეტის მიზნით არ მიმართავენ სხვა სასამართლოს.

14. Termination of the Agreement

14.1. Agreement can be terminated by initiative of either Party on basis of mutual written agreement or by the present agreement in accordance with its conditions.

14.2. In case of existence of conditions set force in paragraph 14.1, either party is responsible to inform the other party in writing about such conditions 20 calendar days in advance.

14.3. Written notice does not set parties free from responsibilities undertaken in this agreement until termination of the agreement.

15. Disputes and ways of their settlement

15. 1. Disputes and ways of their settlement both Parties will use their best efforts to settle all matters in dispute amicably. All disputes and differences of any kind related to this Agreement, which cannot be solved amicably by the Parties, shall be referred to arbitration as described below.

15.2 All disputes that can't be settled by means of negotiations shall be finally settled by one or more arbitrators of Stockholm Commercial Arbitration in accordance with the existing rules and regulations.

15.3 The parties agree that the disputes related to the Agreement are regulated by the Swiss legislation.

15.4 The seat of arbitration shall be Stockholm, Sweden and arbitral proceedings shall be conducted in the English language. The award of the arbitrators shall be final and binding on both Parties.

15.5. The Party which wishes to refer the dispute to Arbitration shall notify the other Party by official letter stating the date and number of the Agreement as well as the subject of the dispute.

15.6 Parties shall not apply to other courts for settling of dispute.

16. სხვა პირობები

- 16.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 16.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 16.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 16.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 16.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
- 16.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. დავების განხილვის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან დოკუმენტს.
- 16.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.
- 16.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927
ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი


ბ-ნი ნოე ქინქლაძე

"ნოვო ნორდისკ ა/ს", დანია, ნოვოალლე, 2880
ბაგსვერდ, CVRN24256790

16. Other conditions

16.1 The Parties follow principles of mutual respect and desire to deepen cooperation.

16.2. Contracting parties are obliged to further protection of the name, business reputation and dignity of the other party.

16.3 Parties are obliged not to disclose information about other party acquired as a result of mutual business activities.

16.4. Contracting parties have no right to announce about the inability to fulfill, non-fulfillment or improper fulfillment etc. by other party, before the corresponding issue is mutually studied and appropriate facts are confirmed.

16.5. The fact will not be considered as abrogation of confidentiality when the disclosure of information is demanded by the law or the act released by any governmental authority on the basis of law.


16.6. The present agreement is drawn up in three copies in Georgian and English languages, each one having equal legal force. Two copies of agreement are kept with the Purchaser and one – with the Supplier. In case of any dispute English version will prevail.

16.7. All the amendments and changes to the present agreement are valid if drawn up in written form and signed by fully authorized representatives of both parties.

16.8. Period of validity of the Agreement is 31 December of 2015 year.

17. Legal addresses and requisites of the parties

LEPL Social Service Agency,
Identification code №202178927
No 144 Tsereteli Ave. Tbilisi,
Acting Director


Mr. Noe Kinkladze

Novo Nordisk A/S, Denmark, Novo Alle,
2880 Bagsvaerd, CVRN24256790

Bank details: Citibank, New York

საბანკო რეკვიზიტები: „სიტიბანკი“, ნიუიორკი, SWIFT: CITIUS33, ABA კოდი 021000089, ანგ. ნომერი 30733459

BACIS ინტერნეიშენალ ოპერეიშენის ვიცე პრეზიდენტი

ბ-ნი სერგეი სმირონოვი

BACIS ფინანსური და ტექნოლოგიების დირექტორი

საინფორმაციო

ბ-ნი კრისტოფერ ჰვიდი

SWIFT: CITIUS33, ABA code 021000089, acc. number 30733459

Vice-President of BACIS International Operations

Mr. Sergey V. Smirnov

And

Financial and IT Director of BACIS

Mr. Christopher Hviid

1. მიზანი

დანართის მიზანია ნოვო ნორდისკის პროდუქტების სწორი მოპყრობის, შენახვის და მიწოდების მოთხოვნების მითითებისამებრ უზრუნველყოფა. განსაზღვრულია პასუხისმგებლობა ნოვო ნორდისკის პროდუქტების უსაფრთხოების, იდენტურობის, მთლიანობის და ხარისხის გარანტირების მიზნით.

2. სფერო

ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს ნოვო ნორდისკის ყველა დისტრიბუტორთან დადებული შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

3. დისტრიბუტორებთან მუშაობის ძირითადი პრინციპები

სამედიცინო პროდუქტების დისტრიბუტორებმა უნდა უზრუნველყონ შენახვის პირობების დაცვა, მათ შორის ტრანსპორტაციის დროსაც. მათ აგრეთვე უნდა უზრუნველყონ სხვა პროდუქტებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება. პროდუქტმა უნდა განათავსონ უსაფრთხო ადგილას. ხარისხის სისტემიდან გამომდინარე კი დისტრიბუტორმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ შესაბამისი პროდუქტი სწორ მისამართზეა გაგზავნილი დროის შესაბამის მონაკვეთში. სამიგზო სისტემაში კი შესაძლებელი უნდა გახადოს პროდუქტების პოვნა და უნდა არსებობდეს მსგავსი პროდუქტების ამოღების ეფექტური სისტემა.

4. პასუხისმგებლობები

დისტრიბუტორი პასუხისმგებელია ამ დოკუმენტთან, არსებულ ადგილობრივ კანონმდებლობასთან, წესებთან, მოცემულ ტერიტორიაზე ნოვო ნორდისკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვაზე.

დისტრიბუტორმა ტრენინგი უნდა ჩაუტაროს შესაბამის პერსონალს და ქვეკონტრაქტორებს ამ დანართის მოთხოვნებში.

ნოვო ნორდისკი ვალდებულია აცნობოს დისტრიბუტორს ნოვო ნორდისკის სამედიცინო პროდუქტების და მოწყობილობების შენახვის, დისტრიბუციის ან ტრანსპორტაციის მოთხოვნებში ცვლილებების შესახებ.

5. ტრანსპორტაციასა და შენახვასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები

ნოვო ნორდისკის პროდუქტების შენახვისა და დისტრიბუციის მოთხოვნებმა უნდა დააკმაყოფილოს პროდუქტთან დაკავშირებული მოთხოვნები (PSR).

PSR-იდან გადახვევის შემთხვევაში პროდუქტი უნდა მოთავსდეს კარანტინში და იზოლირებულ უნდა იქნეს გასაყიდად გამოჩნული მარაგისაგან. ნოვო ნორდისკს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ დადგენილი ტემპერატურისაგან გადახრის შემთხვევაში, რომ მან ჩაატაროს ტემპერატურის მოცემული გადახრის შეფასება.

თუ დისტრიბუტორი ვერ დააკმაყოფილებს პროდუქტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს მისი ტრანსპორტაციის დროს, ჩატარდება პროდუქტის ანალიზი დისტრიბუტორის ხარჯზე. ნოვო ნორდისკის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხზე, დაეხმარება დისტრიბუტორს მსგავსი ანალიზის პირობების განსაზღვრაში.

დისტრიბუტორი პასუხისმგებელია:

ზუსტი საზომი მოწყობილობის გამოყენებაზე;
ტრანსპორტირების და დისტრიბუციის დროს ტემპერატურის კონტროლზე;
შენახვის შესაბამისი ადგილების გამოყენებაზე, როცა შენახვის სპეციფიკური პირობებია საჭირო.

1. Purpose

The purpose of the Appendix is to ensure requirements as to correct handling, storage, preservation and delivery of Novo Nordisk products are explained and responsibilities are defined in order to secure safety, identity, integrity and quality of Novo Nordisk products.

2. Scope

This guidance is considered to be an integral part of all agreements with distributors of Novo Nordisk.

3. Main principle of operation with distributors

Distributors of medicinal products should ensure that storage conditions are observed at all times, including during transportation, that contamination from or of other products is avoided and that products are stored in appropriately safe and secure areas. In addition to this the quality system operated by the distributor should ensure that the right products are delivered to the right addressee within a satisfactory period of time. A tracing system should enable any faulty product to be found and there should be an effective recall procedure.

4. Responsibilities

Distributor is responsible for insuring compliance with this document and current local legislation, rules and requirements that apply to Novo Nordisk within area of responsibility.

Distributor is responsible to train relevant staff along with subcontractors in the requirements of the appendix

Novo Nordisk, is obliged to inform the distributor of any changes to storage, distribution or transportation requirements of Novo Nordisk medicinal products and medical devices.

5. General requirements for storage and transportation

Storage and distribution conditions of Novo Nordisk products must meet the product-specific requirements (PSR).

In case of any deviations from PSR, product has to be placed in quarantine and segregated from saleable stock; Novo Nordisk should be immediately informed to make the evaluation of temperature deviations.

If distributor fails to meet the product specific requirements during transportation, the analysis of products is done at the distributor expenses; Novo Nordisk quality responsible person will help the distributor to define the conditions of such analysis.

Distributor is responsible for

- use of calibrated measuring equipment
- temperature monitoring during transport or validated distribution
- use of qualified storage areas where specific storage conditions are needed

During transport and storage products must be protected

ტანსპორტირების ან შენახვის დროს პროდუქტები დაცულ უნდა იქნეს ცუდი ამინდისა (წვიმა, თოვლი და ა.შ.) პირდაპირი მზის შუქისაგან.

დისტრიბუტორმა უნდა შექმნას იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ის აკმაყოფილებს ტემპერატურის ლიმიტს. სპეციფიკური ტემპერატურის საჭიროების მქონე პროდუქტების შენახვისას ტემპერატურა უწყვეტად უნდა იქნეს ჩაწერილი ჩამწერი მოწყობილობების მეშვეობით.

ტემპერატურის ზღვარის მაქსიმუმის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამზომი მოწყობილობის მაქსიმალური დასაშვები შეცდომა (MPE) და მაჩვენებლის დამრგვალების წესები.

ტემპერატურა მრგვალდება შემდეგნაირად:
პირველი ათწილადი < 5: მრგვალდება უახლოეს ციფრამდე დაწევით
პირველი ათწილადი ≥ 5 : მრგვალდება უახლოეს ციფრამდე აწევით

მაგალითები:
2.4 მრგვალდება 2-მდე
2.5 მრგვალდება 3-მდე
2.6 მრგვალდება 3-მდე

5.1 ნოვო ნორდისკის მიერ დისტრიბუტორისთვის დადგენილი ტრანსპორტირების სპეციფიკური პირობები

5.1.1 ინსულინი და ინსულინის ანალოგიური პროდუქტები
რეკომენდირებულია $+4^{\circ}\text{C}$ დან $+8^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურა ტრანსპორტაციისას.

თუ ტემპერატურა ტრანსპორტაციის დროს არ აკმაყოფილებს ამ ზღვარს, გამოყენებულ უნდა იქნეს ტემპერატურის შემდგომი ზღვარი:

0°C -დან $+2^{\circ}\text{C}$ -მდე – შეუზღუდავად პროდუქტის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში
 $+2^{\circ}\text{C}$ -დან $+8^{\circ}\text{C}$ -მდე – შეუზღუდავად პროდუქტის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში
 $+8^{\circ}\text{C}$ -დან $+15^{\circ}\text{C}$ -მდე – მაქსიმუმ 6 დღე (144 საათი)
 $+15^{\circ}\text{C}$ -დან $+25^{\circ}\text{C}$ -მდე – მაქსიმუმ 3 დღე (72 საათი)
 $+25^{\circ}\text{C}$ -დან $+30^{\circ}\text{C}$ -მდე – მაქსიმუმ 1 დღე (24 საათი)
 $+30^{\circ}\text{C}$ -დან $+40^{\circ}\text{C}$ -მდე – მაქსიმუმ 6 საათი
 $+40^{\circ}\text{C}$ -ზე ზემოთ – პროდუქტი ჩამოწერილ უნდა იქნეს

თუ ტემპერატურის მაჩვენებელი, მაგალითად $+8^{\circ}\text{C}$ მიეკუთვნება ორ ინტერვალს, გამოიყენეთ ტემპერატურის უფრო დაბალი ინტერვალი, მაგალითად $+2^{\circ}\text{C}$ -დან $+8^{\circ}\text{C}$ -მდე. დრო, რომელიც საჭიროა თითოეულ ინტერვალში, შეიძლება შეჯამდეს, თუ ტემპერატურა ზღვარის ფარგლებშია. ეს ნიშნავს შემდეგს: მაგალითად დრო, რომელიც დაშვებულია $+8^{\circ}\text{C}$ -დან $+15^{\circ}\text{C}$ -მდე, არის 6 დღე+3 დღე+1 დღე+6 საათი, თუ ტემპერატურის სხვა ზღვარი არ იქნა გამოყენებული. ეს კალკულაცია შეიძლება გაკეთდეს ცხრილში დამავალი ხაზით მხოლოდ $+8^{\circ}\text{C}$ -დან $+15^{\circ}\text{C}$ -მდე.

5.2. პროდუქტის დისტრიბუტორთან შენახვის სპეციფიკური პირობები

5.2.1. ინსულინი და ინსულინის ანალოგიური პროდუქტები

ტემპერატურა ცივად შენახვისას უნდა იყოს $+2^{\circ}\text{C}$ -დან $+8^{\circ}\text{C}$ -მდე. შეამჩიეთ ის დრო, როცა პროდუქტი არ იმყოფება ამ ტემპერატურაზე, რაც ძირითადად შეფუთვის ან მიწოდებისას ხდება.
 0°C -ზე დაბალ ტემპერატურაზე შენახვა შეიძლება გამოიწვიოს გაყინვით გამოწვეული დაზიანება:

ზხარები ფლაკონებში და ამპულებში
ამპულის შპრიცის გადანაცვლება

from bad weather conditions (rain, snow etc.) and direct sun lights.

Distributor must document that it meets required temperature limits. During transport and storage of thermolabile goods temperature must be continuously recorded via recording devices.

When establishing temperature limits maximum permissible error (MPE) of a measuring device and rounding rules must be taken into account.

Round temperature readings as follows:
First decimal < 5: round down to the nearest value
First decimal ≥ 5 : round up to the nearest value

Examples:
2.4 round to 2
2.5 rounds to 3
2.6 rounds to 3

5.1 Product specific transport conditions from Novo Nordisk, A/S to distributor.

5.1.1 Insulin and insulin analogue products.
 $+4^{\circ}\text{C}$ to $+8^{\circ}\text{C}$ during transport is recommended.

If the temperature during transport cannot meet these limits the following temperature limits may be applied:

from 0°C to $+2^{\circ}\text{C}$ unlimited in the lifetime of the product
from $+2^{\circ}\text{C}$ to $+8^{\circ}\text{C}$ unlimited in the lifetime of the product
from $+8^{\circ}\text{C}$ to $+15^{\circ}\text{C}$ max 6 days (144 hours)
from $+15^{\circ}\text{C}$ to $+25^{\circ}\text{C}$ max 3 days (72 hours)
from $+25^{\circ}\text{C}$ to $+30^{\circ}\text{C}$ max 1 day (24 hours)
from $+30^{\circ}\text{C}$ to $+40^{\circ}\text{C}$ max 6 hours
above $+40^{\circ}\text{C}$ discard the product

If a temperature reading, for example $+8^{\circ}\text{C}$, belongs to two intervals, use the lower temperature interval, for example from $+2^{\circ}\text{C}$ to $+8^{\circ}\text{C}$. The time allowed in each temperature range can be summed up, if the temperature is within the limits. This means, for example, that the time allowed in the temperature range from $+8^{\circ}\text{C}$ to $+15^{\circ}\text{C}$ is 6 days + 3 days + 1 day + 6 hours provided the other temperature ranges have not been not used up. This calculation may only be made downwards in the table and only from $+8^{\circ}\text{C}$ to $+15^{\circ}\text{C}$.

5.2. Product specific storage conditions at distributor

5.2.1. Insulin and insulin analogue products

The temperature in the cold storage must remain within the limits of $+2^{\circ}\text{C}$ to $+8^{\circ}\text{C}$.
Minimize the time outside these limits during packaging and handling.
Storage at temperatures below 0°C may lead to freezing damage:

cracks in vials and cartridges;
displacement of the cartridge plungers.

ამ დაზიანებებმა შეიძლება პროდუქტი აქციოს არაერთგვაროვნად და არასტერილურად.
ნუ შეინახავთ ამ პროდუქტს მშრალ ყინულთან ერთად.

5.3. დისტრიბუტორიდან საბოლოო მომხმარებელამდე ტრანსპორტაციის პირობები

5.3.1 ინსულინი და ინსულინის ანალოგიური პროდუქტები
ტრანსპორტაციისას რეკომენდირებულია **+4°C-დან +8°C-მდე** ტემპერატურა

თუ ტემპერატურა ტრანსპორტაციის დროს არ აკმაყოფილებს ამ ზღვარს, გამოყენებულ უნდა იქნეს ტემპერატურის შემდგომი ზღვარი:

0°C-დან +2°C-მდე – შეუზღუდავად პროდუქტის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში
+2°C-დან +8°C-მდე – შეუზღუდავად პროდუქტის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში
+8°C-დან +15°C-მდე – მაქსიმუმ 1 დღე (24 საათი)
+15°C-დან +25°C-მდე – მაქსიმუმ 1 დღე (24 საათი)
ტემპერატურა +25°C-ზე ზემოთ დაშვებული არაა

ან

+8°C-დან +15°C-მდე – მაქსიმუმ 3 დღე (72 საათი)
+15°C-დან +25°C-მდე – მაქსიმუმ 12 საათი
ტემპერატურა +25°C-ზე ზემოთ დაშვებული არაა

ან

+8°C-დან +15°C-მდე – მაქსიმუმ 5 დღე (120 საათი)
ტემპერატურა +15°C-ზე ზემოთ დაშვებული არაა
თუ ტემპერატურის მაჩვენებელი, მაგალითად +8°C მიეკუთვნება ორ ინტერვალს, გამოიყენეთ ტემპერატურის უფრო დაბალი ინტერვალი, მაგალითად +2°C-დან +8°C-მდე. პროდუქტის ტრანსპორტაცია შესაძლებელია იზოლირებულ ყუთებში, რომელთაც გამაგრილებელი ელემენტი გააჩნიათ. გამაგრილებელ ელემენტსა და პროდუქტს შორის პირდაპირი კავშირი დაუშვებელია. აგრეთვე დაუშვებელია ტრანსპორტაცია მშრალი ყინულით.

5.4. საბოლოო მომხმარებლის მიერ ტრანსპორტირებისა და გამოყენების პირობები

შეინახეთ პროდუქტები, როგორც ეს შეფუთვაზეა მითითებული და აგრეთვე ადგილობრივი კანონების შესაბამისად.

ინსულინი და ინსულინის ანალოგიური პროდუქტები შენახულ უნდა იქნეს **+2°C-დან +8°C** ტემპერატურაზე.

ნოვო ნორდისკის ყველა პროდუქტის ტრანსპორტაციის რეკომენდირებული ტემპერატურა გარდა მყარი დოზებისა არის **+4°C-დან +8°C-მდე**.

ინსულინისთვის და ანალოგიური პროდუქტებისთვის გამოიყენება ტემპერატურის შემდეგი ზღვარი:

+8°C-დან +15°C-მდე – მაქსიმუმ 1 დღე (24 საათი)
+15°C-დან +25°C-მდე – მაქსიმუმ 1 დღე (24 საათი)
ტემპერატურა +25°C-ზე ზემოთ დაშვებული არაა

თუ ტემპერატურის მაჩვენებელი, მაგალითად +15°C მიეკუთვნება ორ ინტერვალს, გამოიყენეთ ტემპერატურის უფრო დაბალი ინტერვალი, მაგალითად +8°C-დან +15°C-მდე.

5.5 პროდუქციის უკან დაბრუნება

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხება ნოვო ნორდისკის პროდუქციის უკან დაბრუნებას, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ნოვო

This damage may make the product inhomogeneous and non-sterile.
Never keep these products together with dry ice.

5.3. Transport conditions from the distributor to the end-user

5.3.1 Insulin and insulin analogue products.
+4°C to +8°C during transport is recommended

If the temperature during transport cannot meet these limits, the following temperature limits may be applied:

from 0°C to +2°C unlimited in the lifetime of the product
from +2°C to +8°C unlimited in the lifetime of the product
from +8°C to +15°C max 1 day (24 hours)
from +15°C to +25°C max 1 day (24 hours)
above +25°C not allowed

or

from +8°C to +15°C max 3 days (72 hours)
from +15°C to +25°C max 12 hours
above +25°C not allowed

or

from +8°C to +15°C max 5 days (120 hours)
above +15°C not allowed

If a temperature reading, for example +8°C, belongs to two intervals, use the lower temperature interval, for example from +2°C to +8°C.

The products can be sent in insulated boxes with cooling elements. Direct contact between cooling elements and the product must be avoided.

Transport with dry ice is forbidden.

5.4. Transport and storage conditions during use by the end-user

Store products as the packaging indicates and in accordance to local law.

Insulin and insulin analogue products store at **+2°C to +8°C**

The recommended temperature during transport of all Novo Nordisk products excluding solid dosage forms: **+4°C to +8°C**

For insulin and insulin analogue products during transport the following temperature limits will apply:

from +8°C to +15°C max 1 day (24 hours)
from +15°C to +25°C max 1 day (24 hours)
above +25°C not allowed

If a temperature reading, for example +15°C, belongs to two intervals, use the lower temperature interval, for example from +8°C to +15°C

5.5 Recall

Any information that may lead to a potential recall of any of Novo Nordisk products must be immediately forwarded to the Novo Nordisk quality responsible person.

ნორდისკის წარმომადგენელს, რომელიც ხარისხზეა პასუხისმგებელი.

პროდუქციის უკან დაბრუნება - ფიზიკურად გატანა, შეკეთება, შეცვლა, იარაღის ხელახლა აკვრა ან დეფექტური პროდუქტების განადგურება, რომლებიც არ იმყოფებიან ნოვო ნორდისკის პირდაპირი კონტროლის ქვეშ.

Recall - the physical removal, repair, modification, adjustment, re-labeling or destruction of defective marketed products that have left the direct control of Novo Nordisk.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
"შემსყიდველი"), ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144,

(შემდგომში

LEPL "Social Service Agency"
Identification code №202178927
Tbilisi, Tsereteli avenue #144

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ბ-ნი ნოე კინკლაძე

Acting Director

Noe Kinkladze

სააქციო საზოგადოება "ნოვო ნორდისკ A/S"
დანია, ნოვო ალლე, DK-2880 ბაგსვერდ, CVR #24256790

Novo Nordisk A/S
Denmark, Novo Alle, DK -2880 Bagsvaerd,
CVR N24256790

ვიცე პრეზიდენტი

Vice-president BACIS Novo Nordisk A/S

ბ-ნი სერგეი სმიროვი

Sergey Smirnov

და

and

ფინანსური და საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი

Finance and IT Director

ბ-ნი კრისტოფერ ჰვიდი

Christoffer Hviid